

## მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 40 652,729.12 ლარით. აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 29 071,181.62 ლარს, ტრანსფერი - 11 581,547.50 ლარს.

შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) განსაზღვრულია 34,978,099.84 ლარით, აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა შეადგენს 24390399,0 ლარს, ხოლო დარჩენილი 10587700,84 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის ტრანსფერს. ტრანსფერებში გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250,000.0 ლარი და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის №27 განკარგულებით, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ გამოყოფილი ტრანსფერი – 2618888,84 ლარი. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 6486817,0 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №2752 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერი – 1 232 000,00 ლარი.

რაც შეეხება 2020 წლის 9 თვის ფაქტიურ შემოსავლებს:

სულ შემოსულობები ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 20749179,92 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 13957901,07 ლარი, რაც გეგმის 67,3%-ია. შემოსავლები დაგეგმილი იყო 20526394,92 ლარით, ფაქტიურად შემოსულია 13680589,35 ლარი, გეგმის 66,6%-ი. 2020 წლის ექვსი თვის ფაქტიური შემოსავლები 10 %-ით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელთან.

2020 წლის გადასახადების ექვსი თვის გეგმა არის – 9954,957 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავლები – 8598 707,64 ლარი რაც გეგმის 86,4 %-ს შეადგენს.

გრანტები სულ შემოსულია 3009535,8 ლარი, რაც გეგმის 49.5%-ია. აქედან, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – გეგმა 156.600 ლარი– ფაქტი 124 800 ლარი, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად – 234 361,80 ლარი. კაპიტალური ტრანსფერი შემოვიდა 2650,374 ლარი, რაც გეგმის 44.7%-ია.

სხვა შემოსავლების 2020 წლის ექვსი თვის გეგმა იყო 4488,327 ლარი, ექვსი თვის ფაქტმა შეადგინა 2072345,91 ლარი, რაც გეგმის 46,2 %-ია.

არაფინანსური აქტივების კლება ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 222,785 ლარი, ფაქტმა შეადგინა– 277 311,72 ლარი, ანუ გეგმის 124,5 %.

რაც შეეხება 2020 წლის ექვსი თვის გადასახდელების შესრულებას სულ შეადგენს 13 985 984,76 ლარს. რაც 28 083,69 ლარით მეტია შემოსულობებზე და ასიგნებები დაფინანსებულია

ნაშთის გამოყენებით. თავისუფალი ნაშთი შეადგენს 5646 545,59 ლარს. გადასახდელებში ხარჯები შეადგენს 9775 192,05 ლარს, რაც მთლიანი გადასახდელების 69,9 %-ია არაფინანსური აქტივების ზრდა -4122 026,71ლარს, მთლიანი გადასახდელების 29,5 %, გადასახდელების 0.6% - 88 766 ლარი არის ვალდებულების კლება.

გადასახდელები ორგანიზაციული ბიუჯეტის მიხედვით :

1. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 662 267,84 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახდელების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე 392 676,99 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 199 583,66 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 407,19 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 69 600 ლარი.
  2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 2086 985,94 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახდელების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე – 1335 950,06 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 609 341,31ლარი, გრანტების მუხლით 45,000.0 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 27 776,18 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 40 335,15 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 28 583,24ლარი. 44 811,35 ლარი გახარჯულია სარეზერვო ფონდიდან კოვიდ 19-ის პანდემიის შედეგებთან ბრძოლის ფარგლებში.
  3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯი შეადგენს სულ 92 763,58ლარს, რომელიც შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: შრომის ანაზღაურება – 480 700 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 12 063,58.
  4. სარეზერვო ფონდიდან გახარჯული 322 419,27ლარი გაწეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. (დანართი №3 შესაბამისად).
  5. წინა პერიოდში წარმოქმნილ ვალდებულებებზე გახარჯულია 88 766ლარი, რომელიც წარმოადგენს აღებული სესხების ძირის დაფარვას.
  6. ვალთან დაკავშირებული ოპერაციის მუხლით გაწეული ხარჯი არის 23498ლარი რომელიც შეადგენს აღებული სესხების პროცენტის დაფარვას.
  7. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე სულ გახარჯულია 5410 453,62ლარი. აქედან:
    - 7.1 გზებისა და ხიდების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვაზე სულ გახარჯულია 2195 386,29 ლარი, აქედან კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში 1546 404 ლარი.
    - 7.2 წყლის სისტემების განვითარებაზე გახარჯულია 2160 841,93ლარი, აქედან, შპს „მარნეულის სოფწყალი“ სუბსიდიის სახით დაფინანსებულია 759 431,77ლარით, შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს საკუთარი შემოსავლები შეადგენს 115762.04 ლარს.
- რეაბილიტაციაზე გახარჯულია 1378 160,63 ლარი, აქედან კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში – 1103 970 ლარი, 6867,60 ლარი სარეზერვო ფონდიდან.

საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის განვითარება და მოვლა შენახვაზე გახარჯულია სულ 22797,29ლარი.

- 7.3 გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის სფეროდან ელექტრო-ენერჯის ღირებულებაზე გახარჯულია 484 420,27ლარი, მოვლა შენახვაზე 114 898,48 ლარი (ააიპ „სუფთა მარნეული“), ხოლო 47 533,22ლარი არის კაპიტალური ხარჯი.
- 7.4 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 85514,48ლარი, აქედან 22234 ლარი კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში.
- 7.5 მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკზე“ გადარიცხულია სუბსიდიის სახით 321 253,95ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები შეადგენს 108.948 ლარს.
- 7.6 სარიტუალო დარბაზების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობაზე დახარჯულია 605 ლარი.
8. მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვით ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 832 837,16 ლარი, აქედან შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს“ სუბსიდირება შეადგენს 79481,83 ლარს, საკუთარი შემოსავლები 1470.10 ლარი, დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 624 946,15ლარი (ააიპ „სუფთა მარნეული“), მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა-110 209,18 ლარი(ააიპ „სუფთა მარნეული“), გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები -18200 ლარი.
9. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 1671543,13ლარი, აქედან:
  - 9.1. სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება შეადგენს 1296 429,43ლარს, ხოლო საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და მშენებლობაზე გახარჯულია - 1892,8ლარი.
  - 9.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით გახარჯულია 373220,9ლარი, აქედან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მასწავლებლების ხარჯებისთვის 21300ლარი, 187 917,27ლარი გახარჯულია მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის - 164 003,63ლარი, კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში.
10. სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე 2020 წლის ექვს თვეში სულ გახარჯული იქნა 766 785,99ლარი, აქედან სპორტსკოლა სუბსიდიის სახით დაფინანსდა 652 420,17ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია - 111 069,82ლარით, ხოლო სპორტული ღონისძიებები - 3296ლარით.
11. კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე სულ გახარჯული იქნა 947 339,42ლარი, აქედან კულტურული ღონისძიებებისათვის 81 633,11ლარი, კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე 464 001,3ლარი.
12. ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე-2500ლარი, სარეზერვო ფონდის დაფინანსებით.
13. ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის ხარჯია 29606 ლარი.
14. რელიგიურ და სხვა სახის საზოგადოებრივ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი - 401 705,01ლარი.
15. 2020 წლის ექვს თვეში საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე გახარჯულია 1370 638,08ლარი. აქედან ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანდაცვის ცენტრი დაფინანსდა 109 181,75 ლარით. კაპიტალდაბანდებები საზოგადოებრივ ჯანდაცვაში - 142 269,07ლარი, ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლით 582 746,72 ლარი, საიდანაც 20 461,09 ლარი არის სარეზერვო

ფონდიდან დაფინანსებული, ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის მუხლით გახარჯულია 534 590,54 ლარი, აქედან 247 179,23 ლარი სარეზერვო ფონდის დაფინანსებით (მათ შორის კოვიდ 19-ის პანდემიის შედეგებთან ბრძოლის ფარგლებში 241,352.88 ლარი), ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 1850 ლარი, აქედან 600 ლარი სარეზერვო ფონდის დაფინანსებით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

ვუგარ მამედოვი